საქართველო (მე-2 კალათა)

საქართველო მამაკაცებით, ქალებით და ბავშვებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), კონკრეტულად კი ქალთა იძულებითი პროსტიტუციის და მამაკაცების, ქალების და ბავშვების იძულებითი შრომის წყარო, ასევე სატრანზიტო და საბოლოო დანიშნულების ქვეყანაა. საქართველოს მოქალაქე ქალები და ბავშვები ჩართულნი არიან სექსტრეფიკინგში როგორც ქვეყნის შინით, ასევე თურქეთში და, უფრო მცირე მასაშტაბით, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებსა და რუსეთში. აზერბაიჯანიდან, უზბეკეთიდან, ყირგიზეთსა და სხვა ქვეყნებიდან ჩამოყვანილი ქალები პროსტიტუციაში იძულებით არიან ჩართულნი საქართველოს კომერციულ სექსვაჭრობაში აჭარაში, ბათუმისა და გონიოს ტურისტულ ტერიტორიაზე. 2013 წლის მაისში სექსტრეფიკინგის უზბეკი მსხვერპლი დასავლეთ საქართველოში იმ კაცმა მოკლა, რომელიც, როგორც ამბობენ, მისი ტრეფიკერის სახელით მოქმედებდა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ქალები სექსტრეფიკინგში ჩართულნი არიან საუნებში, სტრიპტიზ კლუბებში, კაზინოებსა და სასტუმროებში. ქართველი მამაკაცები და ქალები იძულებით შრომაში არიან ჩართულნი საქართველოში, თურქეთში, რუსეთში, აზერბაიჯანში, კვიპროსში, იტალიაში, ყატარში, შვედეთსა და სხვა ქვეყნებში. ქართველი მიგრანტები, რომლებსაც სოფლის მეურნეობის და სხვა ისეთ სფეროში სურთ დასაქმება, სადაც დაბალი კვალიფიკაციაა საჭირო, პირდაპირ უკავშირდებიან დამსაქმებლებს ან აგენტებს, თუმცა, მოგვიანებით მსხვერპლები ხდებიან მაშინ, როცა დანიშნულების ქვეყანაში ჩავლენ. ბოლო წლების განმავლობაში ასევე სახეზეა უცხო ქვეყნის მოქალაქეების ექსპლუატაცია სოფლის მეურნეობის, სამშენებლო დარგებსა და სახლში მომსახურების გაწევისას საქართველოში. ქუჩაში მცხოვრები ზოგიერთი ბავშვიც შეიძლება იძულებით ამათხოვონ, ან დანაშაული ჩაადენინონ. საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა ცენტრალური აზიიდან თურქეთში ტრეფიკინგის მსხვერპლთა გადასაყვანად. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში ადამიანებით ვაჭრობის არსებობის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ იქნა მოპოვებული.

საქართველოს მთავრობა ტრეფიკინგის აღმოფხვრისთვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს ბოლომდე არ ასრულებს; თუმცა, მნიშვნელოვან ძალისხმევას ახორციელებს ამ მიზნის მისაღწევად. ადამიანებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ საქართველოს კანონის აღსრულება კვლავ არასაკმარისი დონით ხდება, მაგრამ გაუმჯობესებულია წინა საანგარიშო პერიოდთან

შედარებით: 143-ე მუხლით ხუთი პირის პასუხისგებაში მიცემა გაუმჯობესებული მაჩვენებელია წინა პერიოდთან შედარებით, როცა 2012 წელს არც ერთი, ხოლო 2010 წელს კი მხოლოდ ერთი ადამიანის მიმართ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი, თუმცა, ესეც წინა წლების მონაცემებზე უფრო დაბალია. ზოგი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ეს 2000 წლის შემდეგ პოლიტიკური ნების ნაკლებობის გამო ხდება იმის მიუხედავად, რომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაკეთდა ტრეფიკინგის კანონების განახლებისთვის, ადამიანებით ვაჭრობის ტექნიკების ცვლილებებზე რეაგირების მიზნით. ბორდელების მეპატრონეების დაკავებას იშვიათად მოჰყვება დევნა და ბორდელებიც მუშაობას განაგრძობს. ჯერ კიდევ მტკივნეულ საკითხად რჩება ქმედითი „შრომის ინსპექციის“ არსებობა შრომითი ტრეფიკინგის შემთხვევების იდენტიფიცირებისთვის.

საქართველოს კლასიფიკაცია წლების მიხედვით



რეკომენდაციები საქართველოსთვის:

საეჭვო ბორდელებზე რეიდებში მონაწილეობისთვის იმ პოლიციელების გამოყოფა, ვინც ტრეფიკინგის საკითხებში გადამზადებული და სპეციალიზებულია, ასევე მსხვერპლთა დახმარების მომსახურების მომწოდებლებისთვის აჭარის რეგიონში განხორციელებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების უფლების მიცემა; ტრეფიკინგში ეჭვმიტანილ პირთა საქმეების გამოძიება და, საკმარისი მტკიცებულების არსებობისას, დევნის აღძვრა, ბორდელების მფლობელების ჩათვლით; ქმედითი „შრომის ინსპექციის“ შექმნა შრომითი ტრეფიკინგის საქმეების იდენტიფიცირებისთვის; საქართველოში შრომის ინსპექტორების არარსებობის გამო, პროაქტიული წვდომის უზრუნველყოფა მუშაკებზე, დოკუმენტების მქონე და არმქონე

უცხოელი მიგრანტების ჩათვლით, რომლებიც ტრეფიკინგის მიმართ დაუცველები არიან; უფრო ეფექტური, პროაქტიული მეთოდების გამოყენება ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლების აღმოსაჩენად და გამოსავლენად მოწყვლად პოპულაციებში; პროსტიტუციაში ჩაბმული ბავშვების, როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლების სათანადოდ გამოვლენა; უზრუნველყოფა, რომ შემთხვევით არ მოხდეს იმ ბაშვების კრიმინალიზება, ვისაც მათხოვრობას აიძულებენ და ვინც კომერციული სექს-ექსპლუატაციის მიმართ მოწყვლადია, ან არ დაისაჯონ იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც უშუალოდ იმიტომ იქნა ჩადენილი, რომ ისინი ტრეფიკინგის მსხვერპლნი იყვნენ; უფრო მეტი ძალისხმევის მიმართვა საეჭვო ტრეფიკინგის საქმეების გამოვლენასა და დევნაზე, ძალადობის არაფიკიზური ფორმების შეფასების გზით, სხვათა შორის, ასევე შრომით და სექს-ტრეფიკინგის დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა; უზრუნველყოფა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები დაფინანსებულნი არიან და აქტიურ პარტნიორებად რჩებიან საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლების და ინფორმაციის გავრცელების კამპანიების განსახორციელებლად; დაზარალებულების/მოწმეებისთვის ადვოკატების დანიშვნა, ქართველი და უცხოელი მსხვერპლი პირების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სამართალწამოების დროს; ინფორმირებულობის დონის ამაღლება სამთავრობო ოფიციალურ პირებს და საერთო მოსახლეობას შორის ადამიანებით ვაჭრობის ყველა ფორმის შესახებ; და საინფორმაციო კამპანიების გაგრძელება ადამიანებით ვაჭრობის არსებობის, ასევე სამართლებრივი დახმარების და ხელმისაწვდომი დაცვის სამსახურის შესახებ, რომლებიც მოწყვლად ჯგუფებზეა გამიზნული.

საქართველოს მთავრობამ წინა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამართალდამცავი ღონისძიებები უფრო გააქტიურა, მაგრამ მათი ოდენობა მაინც არასაკმარისია. საქართველო ადამიანებით ვაჭრობის ყველა ფორმას კრძალავს „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის და სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მეშვეობით, სადაც გათვალისწინებულია სასჯელები შვიდიდან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. აღნიშნული სასჯელები საკმარისად მკაცრია და სხვა მძიმე დანაშაულებისთვის დადგენილი ისეთი სასჯელების თანაფარდია, როგორიცაა გაუპატიურება. გამოძიებების რაოდენობა დაახლოებით იგივე იყო, რაც წინა საანგარიშო პერიოდში და სულ 11 საქმე იქნა გამოძიებული - შვიდი სექს-

ტრეფიკინგისთვის, სამი - შრომითი ტრეფიკინგისთვის, ერთი კი ჯერ არ არის დადგენილი; შვიდი განხორციელდა წინა საანგარიშო პერიოდში. სამი ბრალდებულის მიმართ დევნა აღიძრა ზრდასრული ადამიანის სექს-ტრეფიკინგის გამო 143-1 მუხლის პირველი პუნქტით, სასჯელი მიესაჯა სამ ადამიანს, დევნა ორზე მეტი სექს-ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ აღიძრა, მაგრამ წინა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არც ერთი არ მიცემულა პასუხისგებაში. 2013 წლის ივლისში ერთ დამნაშავეს ექვსი წლით და რვა თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს ორი ქართველი ქალის მიმართ სექს-ტრეფიკინგის დანაშაულის გამო. 2013 წლის ნოემბერში კიდევ ერთ დამნაშავეს მიუსაჯეს ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა უზბეკი ქალის მიმართ სექს-ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენის ნიადაგზე. 2014 წლის მარტში ერთ ქალს სექს-ტრეფიკინგის გამო დაუსწრებლად მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა ტრეფიკინგისა და ტრეფიკინგის მსხვერპლის მკვლელობის დაკვეთისთვის. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფომ დევნა განახორციელა და პასუხისგებაში მისცა ორი ბრალდებული 143-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, არასწრულწლოვნის სექს-ტრეფიკინგისთვის. 2014 წლის იანვარში ამ საქმეში მონაწილე ერთ-ერთ დამნაშავეს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მეორეს კი - დაუსწრებლად შეუფარდეს პატიმრობა 11 წლის და ექვსი თვის ვადით. ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა თავისი შეშფოთება გამოხატა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართ პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, რაც დადასტურებულია პროკურატურის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებაში თანამშრომლების რაოდენობის შემცირებით 2009-2012 წწ. სათანადოდ არ იყო გამოძიებული ბორდელების მეპატრონეების საქმეები, რომლებიც, შესაძლებელია, ქალების სექს-ტრეფიკინგში იღებდნენ მონაწილეობას. წელიწადის განმავლობაში მთავრობამ განაგრძო ტრენინგ-პროგრამები სამართალდამცავი ოფიცრებისთვის, ასევე დამატებითი სპეციალიზებული ტრენინგები პროკურორებისთვის, მოსამართლეებისთვის, იმიგრაციის სფეროში მომუშავე ოფიციალური პირებისთვის, სასაზღვრო პოლიციისა და სხვა წინა ხაზზე რეაგირების განმახორციელებელი პირებისთვის. ექსპერტებმა აღნიშეს, რომ პოლიციას აკლდა სიღრმისეული გამოკითხვის ტექნიკები მოწმე-დაზარალებულების დაკითხვისთვის, რომლებმაც შეიძლება შემდგომი ტრავმა განიცადონ ამ პროცესში. პოლიციამ პროსტიტუციით დაკავებული მრავალი ქალი დააკავა, რომელთაგან ბევრი არ შემოწმდა ადამიანებით ვაჭრობის მხრივ და პოტენციურ დაზარალებულებს შეიძლება აიძულეს კიდეც, რომ ჩვენება მიეცათ

სუტენიორებისა და ბორდელის მეპატრონეების წინააღმდეგ. საქართველოს მთავრობამ არ გააკეთა შეტყობინება მთავრობის წარმომადგენელი პირების მიმართ რაიმე გამოძიების, დევნის ან პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომლებიც ადამიანებით ვაჭრობაში თანამონაწილეობენ.

დაცვა

საქართველოს მთავრობამ ძალისხმევა განახორციელა ტრეფიკინგის მსხვერპლების გამოვლენისა და დაცვისთვის, მაგრამ ხარვეზები აღინიშნებოდა იმ ბავშვების დაცვის კუთხით, ვისაც მათხოვრობას აიძულებდნენ, ასევე იმ ქალების და ბავშვების მიმართ, ვინც სექს-ტრეფიკინგში იყვნენ ჩართულნი. მთავრობამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 42 სექს-ტრეფიკინგის მსხვერპლი გამოავლინა; ეს კი წინა პერიოდთან შედარებით 18 მსხვერპლით მეტია. საქართველოში იძულებითი შრომის არც ერთი მსხვერპლი არ გამოვლენილა. ექსპერტებისთვის შეშფოთების საგანი იყო ის, თუ რამდენად დაბალ დონეზე ხორციელდებოდა მსხვერპლი ბავშვების გამოვლენა ქუჩაში არსებულ ექსპლუატაციურ სიტუაციებში, კომერციულ სექსვაჭრობაში ჩაბმული უცხოელი ქალების და ქართველი თუ უცხოელი მუშების აღმოჩენა სავალალო შრომით სექტორში. მთავრობაში ჯერ კიდევ არ არსებობს შრომის ინსპექცია, რომელიც მონიტორინგს გაუწევდა იძულებითი შრომის საეჭვო შემთხვევებს. მსხვერპლთა დახმარების მომსახურების მიმწოდებლების მონაწილეობის გარეშე, პოლიციის მიერ ბორდელებზე განხორციელებულ ზოგიერთი რეიდისას პოლიციელები არ იყვნენ გადამზადებულნი ტრეფიკინგის საკითხებში და არც მსხვერპლების წინასწარი სკრინინგი არ განხორციელებულა. ექსპერტების აზრით, წინა საანგარიშო პერიოდში მთავრობის უწყებათაშორისი ძალისხმევა არასათანადო იყო ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების კოორდინაცის მხრივ. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მთავრობამ ორი თავშესაფარი დააფინანსა და აამოქმედა, მაგრამ ზრდასრულ მსხვერპლებს თავშესაფრის მეთვალყურეობის გარეშე დატოვების ნებართვა არ ჰქონდათ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ კიდევ ორი თავშესაფარი ფუნქციონირებს; მაგრამ ისინი იშვიათად და უფრო მეტად მოკლევადიანი, შუალედური გამოსავალის სახით გამოიყენებოდა, როცა სახელმწიფო თავშესაფარში მსხვერპლის დაუყოვნებლივ დაბინავება ვერ ხდებოდა. სახელმწიფო თავშესაფრებში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 15 მსხვერპლს გაუწიეს მრავალმხრივი სამედიცინო დახმარება, ფსიქოლოგიური

მომსახურება და იურიდიული დახმარება. ტრეფიკინგის ოცდაცხრა მსხვერპლმა ფინანსური დახმარება მიიღო მთავრობისგან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, რაც ერთჯერადად გაცემული თანხა იყო დაახლოებით 650 დოლარის ეკვივალენტის ოდენობით. შედარებისთვის, წინა სანგარიშო პერიოდში ამგვარი დახმარება ხუთმა მსხვერპლმა მიიღო. მთავრობის ინფორმაციით, ტრეფიკინგის უცხოელ მსხვერპლებს უფლება ჰქონდათ მიეღოთ დროებითი ბინადრობის ნებართვები, მაგრამ ეს არც ერთ უცხოელ მსხვერპლს არ მოუთხოვია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. 2013 წლის მაისში, მთავრობამ თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გააფორმა საერთაშორისო ორგანიზაციასთან დასაქმების და სხვა დახმარების უზრუნველსაყოფად უცხოელი მსხვერპლებისთვის, რეპატრიაციის ჩათვლით. მთავრობის ინფორმაციით, მსხვერპლები წაახალისეს, რომ სამართალდამცავებს დახმარებოდნენ ტრეფიკინგის გამოძიების და დევნის საქმეში, თუმცა, მათი დახმარება არ იყო საჭირო მთავრობისგან დაცვის ან თავშესაფრის მომსახურების მისაღებად; 42 იდენტიფიცირებულიდან ხუთი მსხვერპლი დაეხმარა სამართალდამცავ ორგანოებს საანგარიშო პერიოდში, რაც უფრო მეტია, თუ შევადარებთ წინა საანგარიშო პერიოდს, როცა დახმარება მხოლოდ სამმა მსხვერპლმა გასწია. მთავრობამ ფსიქოლოგიური დახმარება გაუწია 35 მსხვერპლს; 41-მა მიიღო იურიდიული დახმარება; 29 პირმა - ფინანსური კომპენსაცია; ექვსმა - თავშესაფარი, ხოლო 11-მა - სამედიცინო დახმარება. ყველა ასაკის, სქესის და ეროვნების მსხვერპლს თანაბრად მიუწვდება ხელი მომსახურებებზე. ტრეფიკინგის მსხვერპლების დეპორტაცია კანონით დაშვებული არ არის. საქართველოს საელჩოებმა შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლები გამოავლინეს და მათ დახმარება გაუწიეს იტალიასა და ყატარში. მთავრობამ ყველა იდენტიფიცირებული მსხვერპლი სამზრუნველო დაწესებულებაში გადაამისამართა.

პრევენცია

საქართელოს მთავრობამ ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული პრევენციული ღონისძიებები განაგრძო და მთელი რიგი საინფორმაციო კამპანიები განახორციელა. მთავრობის წარმომადგენლებმა რამდენიმე სატელევიზიო შოუში მიღეს მონაწილეობა ტრეფიკინგის საფრთხეების განხილვის მიზნით.

მთავრობამ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ბროშურები მოამზადა და დაარიგა სასაზღვრო გამშვებ პუნქტებსა და საკონსულოებში საზღვარგარეთ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, სადაც მოცემულია ინფორმაცია ხელმისაწვდომი საკონსულო დახმარების და ადამიანთა ვაჭრობის რისკების შესახებ. მთავრობამ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ტრაილერების მძღოლებს და კაზინოს სტუმრებს ფლაერები დაურიგა სექს-ტრეფიკინგის შესახებ, კომერციულ სქესობრივ აქტებზე მოთხოვნის შემცირების მიზნით, მაგრამ არ გამოიჩინა ძალისხმევა იძულებით შრომაზე მოთხოვნის შესამცირებლად. მთავრობამ ასევე მთელი რიგი საინფორმაციო სემინარები გამართა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით პოტენციური მიგრანტებისთვის საქართველოს სამ ყველაზე დიდ ქალაქში - თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში 2013 წლის აპრილში. მთავრობამ ტრეფიკინგის საწინააღმდეგო მასალები დაარიგა ბავშვთა სახლებში, რისკის ზღვარზე მყოფ ახალგაზრდების ჯგუფებსა და მოზარდების ორგანიზაციებში. მთავრობა კვლავ აფინანსებს ტრეფიკინგის საწინააღდეგო ცხელ ხაზს. მთავრობამ ტრეფიკინგის შესახებ საინფორმაციო ტრენინგები გამართა 1,400 მოქალაქისთვის მანამდე, ვიდრე ისინი სამშვიდობო მისიაში დაიწყებდნენ საქმიანობას.